სახალხო გაზეთი

№ 583 ოთხშაბათი, 25 აპრილი, 1912 წ. № 583

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში. მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთის"

რედაქცია ამით აცხადებს, რომ დაუბეჭდავ ხელთ-ნაწერების შესახებ ავტორებთან არავითარ მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდაც საპასუხოდ მარკაც იყოს გამოგზავნილი. დაუბეჭდავი ხელთ-ნაწერები არ ინახება.

რედაქცია.

კვლავ ვაცხადებთ, რომ „სახალხო გაზეთს", ფულის მიღების უფლებით, არავითარი აგენტი არსად არა ჰყავს, გარდა წ.-კ. საზ. მთავარ მაღაზიისა, და ამიტომ პასუხსაც არავის წინაშე არ აგებს.

„სახალხო გაზეთი"-ს კანტორა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს „გრდემლს".

აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1** [illegible] სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ხუთშაბათს, 26 აპრილს, ვანქის საკრებულო ტაძარში

გაბრიელ ნიკიტას ძე სუნდუკიანცის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე მის სულის მოსახსენებლად დანიშნულია წირვა და პანაშვიდი, **რასაც იუწყება განსვენებულის ოჯახობა.** წირვა დაიწყება დილის 11 საათზე. პანაშვიდს გადაიხდიან განსვენებულის საფლავზე, ვანქის ეზოში, შუადღის 12 საათზე. (1—399—1)

ჩემი გადასახლების დროს, შავ-ბნელ სიკვდილს გაუტაცნია ჩემი ერთად-ერთი საყვარელი **და**, ტფილ. დედათა საეპარქ. სასწ. ნამოწაფ.

ანასტასია გძელიშვილი (21 წლ.)

სამშობლოში დაბრუნებული ვაუწყებ რა ამას მწარე გრძნობით ჩემს ნაცნობ-მეგობართ, ამასთანავე ულრმეს მადლობას ვუცხადებ უმწეოდ დარჩენილ დედის დახმარებისათვის პროვიზ. ალოიზა ბალდანის ძე შიხინოვს, გორის ქალაქის გამგეობას, ექიმს ალ. სერგ. იუშანცევს, ფერშალს ჩაჩავას, სევ. შველიძეს, მღვდ. ონისიმე ხიზანაშვილს, სოლომ. კიკნაძეს და ყველას, ვისაც განსვენებული საფლავის კარამდე მიუცილებია და ვინც წერილობით თუ პირადად თანაგრძნობა გამომიცხადა.

(1.1229.1) **სანდრო გძელიშვილი.**

ნიკოლოზ გიგოს ძე და მეუღლე მისი ფედოსია ურუშაძეები შვილებითურთ დიდ მადლობას უხდიან ყველა იმ პირთ, რომელთაც თანაგრძნობა გამოგვიცხადეს პირადათ, დეპეშით თუ გამოსვენებაზე დასწრებით საყვარელ შვილის კიევის უნივერსიტეტის სტუდენტის

დომენტი (იუსტინე) ნიკოლოზის ძე ურუშაძის

გარდაცვალებისა გამო. (1—397—1)

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების

ვერის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

გადავიდა ახალ ბინაზე: არამიანცის ქარვასლაში, ოლგის ქუჩაზე, № 29. ღიაა დილ. 10—2 საათ. და საღ. 6—8 ს. კვირა-უქმ.: დილ. 11—1 ს. ბიბლ.-სამკ. არის ყველა ქართული წიგნი და ჟურნ.-გაზ. მოსწ. და მუშათ. თვიური გადასახადი 10 კაპ. (10—1207—9)

ი. გედევანიშვილის

„გამცემი,"

3 მოქმ. დრამა.

დაიბეჭდა ცალკე წიგნად და იყიდება 25 კ. ქართულ წიგნის მაღაზიებში. (10.1312.7)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—209)

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის",

25 ცალი 15 კ. ② 10 ც.—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა

„ძმ. სეილანოვები"

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.28)

ტფილისი

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„გრდემლი"

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.65)

ქუთაისში

ძმ. ე. და პ. საჯაიაშვილები,

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ **1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ** ჩვენი **რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.** და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ქესტი", სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭლეულობა; ყოველგვარი სალებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

ფასები ზომიერია. (25 1195.10)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარა აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში--ელენე ვირსალაძესთან.
კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible] (ქირურგიული)	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო, ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკაძე ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. ავადმ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ. ავ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია, სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კისტოსკოპია, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606" წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1050—321)

ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

პარასკევს, 27 აპრილს 1912 წ.

ბენეფისი ალ. წუწუნავასი

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ქ-ნ ეფ. მესხის, ოლ. ლეჟავას, ნ. გამრეკელი-თორელის, ბ-ნნი კ. ყიფიანის და ალ. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდ. იქნება

„ლალატი".

დრამა-ლეგენდა 5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ეფ. მესხი, ოლ. ლეჟავა, ნ. გამრეკელი-თორელი, ბ. ტანელი, ანკარა, ანტუანეტა, ბეჟანოვა, ელ.-ლი, ბად.-ძე, გოდ.-ძი, გარეკ.-ლი, კახელი, ყოჩ.-ლი, ბ-ნნი: კ. ყიფიანი, ალ. იმედაშვილი, გ. ანაშვილი, დ. ბაქრაძე, ბიაშვილი, ნ. გოცირიძე, გაგუნაშვილი, გელიკურაშვილი, ნარი, კულაშელი, ინაშვილი, რომანიშვილი, სვანელი, სალაყაია, მაჭავარიანი, ა. მეტრეველი, მეტეხელი, ნინიძე, ძნელაძე, ს. პეპანოვი, ალ. შანშიევი. ჩიქოვანი, ხონელი, ხახანაშვილი, ჯაბაური, ყაზბეგი, ყარსიმაშვილი, ჰამკვეტაძე, პელიძე, ჰიაურელი, ფრონისპირელი და სხვ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12-ან 2-ს და საღამოს 6-ან 8 საათამდე. ადგილების ფასი ერთი მან. 20 კაპ. სამ შაურამდე. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. (3.[illegible]2[illegible]4.1) **რეჟის. ალ. ადმინისტ. ს. ჯულელი.**

ქუთაისი

შუაგულ ქუთაისში, „**მწვანე ბაზარში**", **ახლად გაიხსნა ლამაზად გაკეთებული და მორთული**

პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო

„ბრისტოლი".

მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო**, სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები.**

ფასები ზომიერია. ქუთაისი (25.1194.11)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მ. კ.
ვეფხის ტყაოსანი, საუკეთესო გამოცემა,	10—65
თამარიანი, გუგუნავასი	50
ყაზბეგის სრული თხზულ.	3—50
გაბაშვილი ე. თხზულებ.	1—20
ნინოშვილის თხზულებანი	1—50
რჩეული პედაგ. და პუბლიც. ნაწერები ი. გოგებაშვილისა	1— „
რანი ვიყავით გუშინ? მისივე.	20
საარაკო თავგად. ტახტის მემკვიდრისა, მისივე.	10
ცხოვრება გიორგი ხანძთელისა, გიორგი მერჩულისა	3— „
ძველი საქართველო, ტ. I, საისტორიო საზ. გამოც.	3—50
საქართ. სიძველენი ტ. II, მისივე	3—50
ბ. კაძე და მისი დრო, ან. ფურც.	3—50
ქართ. ცხოვრ. მარ. დედ. ვარ.	4— „
ქართვ. ერის ისტორია. ივ. ჯავ.	80
საქ. ეკონომ. ისტორია, მისივე	40
ქართვ. მეფე და მისი უფლებ. ისტორია მისივე	15
Иверскій монастырь на Аѳонѣ въ Турціи. Натроева	1— „
Культурная роль Иверіи въ исторіи Руси. Еп. Киріона.	3— „
ახლად მიღებული წიგნები:	
ეტიუდები მე-XIX საუკ. ქართ. ლიტერატ. შესახ. კ. აბაშიძე	70
ექსპერიმენტ. პედაგოგიკ., უზნაძ.	75
გამცემი, 3 მ. დრ. გედევანიშვ.	25
დალი, 3 მ. დრ., გლახაშვილისა	20
დრამ. და კომედ. I, „სორ." გამ.	1— „
სურათები: აკაკისა	50
„ ფერადი	40
ილიასი	1—50
[illegible] (ჯვრის ზიარება), ზიჩ.	15
„ (ანგელოზ. მოჩვენება) ზიჩ.	15
„ (მაცხოვრის მოჩვენ.) „	15

ადრესი: Тифл. О-во распростр. грамотн. сред груз. насел. (წ. 1141.33)

ქუთაისში

ახალ ჭურჭლეულ-ავეჯეულობის მაღაზიაში

ფ. ს. ფილიპპოვისა,

ალექსანდროვ. ქ., ზ. კოკოჩევის შენობაში, ელექტრო-თეატრი „თამარის" გვერდით.

საზოგადოების სურვილით

გრძელდება იშვიათი იაფ-ფასიანი ვაჭრობა

აპრილის დამლევამდე. ფასები ნაღდზედ და შეუვაჭრებლად.

(25.1187.16) პატივისცემით **ფ. ს. ფილიპპოვი.**

ქუთაისში

ტფილ. ქართულ დრამატ. დასის

მოგზაურობა

მარიამ საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით

დასი შესდგება შემდეგ პირთაგან:

დამსახურებულნი მსახიობნი ქართული სცენისა: **მარ. საფაროვ-აბაშიძისა. ვასილ აბაშიძე, კონსტ. ყიფიანი, ვალერიან გუნია,** ტასო აბაშიძე, ცაცა ამირაჯიბი, მარგ. ქილარჯიშვილი, იოს. ივანიძე, ა. ციციშვილი, იოს. ქივიძე, იოს. გრიშაშვილი და სხვანი.

რეპერტუარი:

ნ. შიუკაშვილის—„**მეგობრობა**", იოს. გედევანიშვილის — „**გამცემი**", გაბ. სუნდუკიანცის—„**პეპო**", ბაიარის—„**პარიზელი ბიჭი**", რ. ერისთავის—„**ბიძიასთან გამოხუმრება**", კარნეევის—„**გულმა იგრძნო**" და **ლიტერატურულ-მუსიკალური დივერტისმენტები.**

დასს განზრახვა აქვს შემოიაროს შემდეგი ადგილები:

გორი, ცხინვალი, გომი, თელავი, სიღნაღი, გურჯაანი, ყვირილა, ჭიათურა, საჩხერე, სამტრედია, ხონი, ახალსენაკი, აბაშა, ზუგდიდი, ფოთი, ბათომი, სოხუმი, ოჩამჩირე, გუდაუთი, გაგრი, სოჭი, განჯა, ბაქო, გუმბრი, ოზურგეთი, ონი და სხ. ადგილები.

(5.1230.1) დასის გამგე **ვალ. გუნია.**

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 153)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—41).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფილ. პირდაპირ. (25—1178—23)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., **№ 1.**

გამოცდილმა
მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. მიღება პირობებით: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც ვაჟთ, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხზე, საზებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის. აგრედვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქალაქო და სატეხნიკო სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.
იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც პანსიონში.
მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъезда, нижній звонокъ, спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).
(т. 1084.149)

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ საჟენი 80 კ.-დან.
მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.
(წ. 1147 287)

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ე. ს. [illegible] ყოვ. დღე, [illegible] ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
ბ. ა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.
შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
წამლობა „606“-ით.
(წლ.—1018—255)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—78.

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სტლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.97).

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1967)
(100—1117—14).

ექიმი კბილისა ნინო რუხილაძე
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—78)

ექიმი კბილისა არჩილ (გიორგი ბ—ძე) დოლიძე
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.
რკინის გზის სამმართველოსთან, ელისაბედის ქუჩა № 166. (25.1179.23)

ტფილისი, 25 აპრილი

სოხუმის ბანკის საზოგადო კრების გადაწყვეტილების გამო.

გუშინდელ ჩვენი გაზეთიდან გაიგებდა მკითხველი, რომ სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიურ კრებაზე ბ-ნ კეზბაშიანისა და სხვათა წინადადება არ მიუღიათ და ბანკის მოგება მთლად წევრებს გაუნაწილებიათ. კორესპონდენტი სამართლიანად უთითებს სხვა ქალაქებს და დასძენს, იქ გულ-გრილად არ ეკიდებიან კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს და, შეძლებისადა გვარად, კიდეც ეხმარებიანო. სოხუმის ბანკის საზოგადოების უმრავლესობის მოქმედება, მართლაც რომ გასაოცარია. სოხუმის ქართული სკოლა, რომლისთვისაც უკვე დაწყებულია საკუთარი შენობა, ბევრის მხრით უჭირს ფული. უეჭველია ასეთსავე პირობებში იქნება სხვა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანიც. ამისთანა პირობებში ცოტაოდენი დახმარებაც კი დიდს შეღავათს მისცემდა ჩვენს კულტურულ დაწესებულებებს და, რაც უფრო საყურადღებოა, განამტკიცებდა იმ სასარგებლო ჩვეულებასა და აზრს, რომ ბანკის მოგებიდან საჭიროა ნაწილის გადადება მაინც კულტურულ საქმეებისთვის. ასეთი აზროვნება არსებობს ჩვენს სხვა განაპირა კუთხეებში. სამწუხაროდ სოხუმელებმა ვერ გამოიჩინეს საკმაო გრძნობა საზოგადოებრიობისა და ორიოდ მანეთის დივიდენტის მიღება ამჯობინეს საზოგადო საქმეს.

სამწუხაროა ეს მით უფრო, რომ კრების უმრავლესობა ქართველობა ყოფილა და სწორედ ქართველთა ხმების უმრავლესობით გასულა ეს ქართულ საქმისთვის საზარალო გარდაწყვეტილება. სოხუმი ერთი იმ ქალაქთაგანია, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს მაჯის ცემას აწესრიგებს. ამისთანა ადგილას განსაკუთრებულის სიძლიერით უნდა სჩქეფდეს ეროვნული მოქმედება. ამიტომ თვითოეულ სოხუმელ ქართველის ზნეობრივ მოვალეობას უნდა შეადგენდეს ქართულ კულტურულ დაწესებულებათა გამაგრება და განმტკიცება.

სოხუმელმა ქართველებმა ეს ვერ დაგვიმტკიცეს, და ჩვენც მწუხარების გამოთქმის მეტი არაფერი დაგვრჩენია.

ქართული პრესა

„ბათუმის გაზეთი“ განაგრძობს ჩვენთან კამათს. იგი კვლავ იმეორებს ერთხელ ნათქვამს და დაჟინებით გვახვევს თავზე ისეთს აზრებს, რაც ძილშიაც არ დაგვსიზმრებია, კვლავ იმეორებს, რომ ყველანი, გარდა „ბათუმის გაზეთი“სა და მისი [illegible] „ხალხის ფართო მასას, ხალხის უმრავლესობას“ არ ემსახურებიან. გაცვეთილი და ტრაფარეტული ფრაზები, რომელთა აზრიანობაც, გვგონია, თვით ავტორებსაც კი აღარა სწამთ, კვლავ ამოტივტივებს ხოლმე ჩვენს მოპარტახებულ მწერლობის ზედაპირზე.

საკამათო საგანი ფრიად ნათლადაა დასმული, მაგრამ „ბათუმის გაზეთი“ ამ ნათლად დასმულ საკითხს გაურბის რადგანაც ეშინიან მისი სინათლისა.

> „რა არის ეროვნული ინტერესები?— კითხულობს „ბათუმის გაზეთი“—თუ ამ ინტერესებში იგულისხმება ერის მეტად დიდი უმრავლესობის ინტერესები, ერის დაჩაგრულ ნაწილის ინტერესები, რაც უეჭველია, და არა ინტერესები ერის მცირე ნაწილის, რომელთა ინტერესები დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ერის უდიდეს ნაწილისას, მაშინ უნდა ეკითხოს ზემოდ-ხსენებულ ხალხს: აი, ამ ერის უმრავლესობის რომელი ინტერესი არ დაიცვეს ღირსეულად „იმ ერთი მიმართულების“ დეპუტატებმა?“

ვის ეკამათება ამნაირად „ბათუმის გაზეთი“? ან რა საჭიროა ამ საანბანო ჭეშმარიტებაზე ბაასი, როდესაც საკამათო საგნადაა გადაქცეული ის, თუ როგორ ემსახურებიან ჩვენი დეპუტატები სწორედ **ერის ამ უმრავლესობის** ინტერესებს? საქმეც სწორედ ის გახლავთ, ბრძენო პუბლიცისტებო, რომ უარყოფითი გადაწყვეტა ეროვნულ საკითხისა, სწორედ ერის ამ უმრავლესობის წინააღმდეგაა მიმართული. გადაავლეთ თვალი მთელს მსოფლიოს ისტორიას, ნახეთ რა ხდება მთელი ქვეყნის მიყრუებულ კუნჭულებშიაც კი გასაოცარის სისწრაფით იზრდება თვით-ცნობიერება პატარა ერებისა, ძირიან-ფესვიანად ირღვევა პრინციპები უნიტარიზმისა და მის ადგილს იჭერს ახალი ფორმები სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებისა. და აი, სწორედ ამ დროს გადმომდგარან ჩვენი ხავს მოკიდებული პოლიტიკოსები და გვარწმუნებენ, ჩვენ საქართველოს ინტერესებს დამცველნი ვართ, რადგანაც პროგრამაში გვიწერია კომიკური ფრაზა: „კავკასიის ერთა თვით-გამორკვევის უფლება“. რა მნიშვნელობა აქვს ცარიელ სიტყვას, თუ მოქმედებასაც არ მისცემთ ისეთს შინაარს, რანაირსაც საჭიროება მოითხოვს.

„ბათუმის გაზეთი“ გვეუბნება, ჩვენი დეპუტატები ყოველთვის იცავენ ადგილობრივ ინტერესებსაო. იცავენ, მაგრამ ისე, რომ მათს დაცვაში არავითარი მთლიანობა არ არის, მოიგონეთ გეგეჭკორის სიტყვა ეკლესიის შესახებ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მე არ მაინტერესებს, მაგრამ მაინც იძულებული ვარ ქართულ ეკლესიის დევნაზე ვილაპარაკოვო. ან საქართველოს ეკლესიის დევნა ბოროტებაა, და მაშინ გეგეჭკორისთვის სულერთი არ უნდა იყოს, როგორ გადასწყდება იგი, ან კიდევ საქართველოს ეკლესიის საკითხს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, და მაშინ გეგეჭკორიც არ უნდა აღშფოთდეს, როდესაც მას სდევნიან. ასეთი ორჭოფული გადაწყვეტა საკითხისა მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ გეგეჭკორსა და მასთან ყველა მის თანამოაზრეებს ვერ შეუძლიათ ეროვნული საკითხი ისე გადასწყვიტონ, რომ მთლიანობა იქმნას დაცული.

იმ დრომდე, სანამ ჩვენი დეპუტატები და მისი თანამოაზრენი საქართველოს უცხო აზროვნებისა და მოქმედების სათარეშო მოედნად დასტოვებენ, ისინი ვერ მოახერხებენ ქართველ ხალხის **ეროვნულ** ინტერესების დაცვას, რაც უნდა ბევრი ილაპარაკონ ხალხის ინტერესებზე, რაც უნდა თვალ-წარმტაცი „პუნქტები“ ჩასწერონ თავიანთ პროგრამაში.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ნ. ლ. პეტერსონი**, ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი, სამსახურის საქმეთა გამო პეტერბურგს გაემგზავრა.

◆ **თავის მოკვლის განზრახვა.** 23 აპრილს, საღამოს 8½ საათზე, ვორონცოვის ძეგლთან, მრავალ ხალხისა და მორიგ პოლიციელის თვალწინ თავის მოკვლის განზრახვით **ნიშადურის სპირტი დალია ქართულ თეატრის მსახიობმა ვიქტორ ნიკოლოზის ძე მატარაძემ**, რომელიც ოლღას ქუჩაზე, სახლში № 54 სცხოვრობს. მოწამლული იმავ წამს წაიქცა, მოასწრო კი ჯიბიდან ბარათის ამოღება და ძირს დაგდება. ბარათში ქართულად ეწერა: „ხალხო! [illegible] ის, ვინც ქალს სიქარსა ჰგავს“. მატარაძე სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. მისი მორჩენის იმედი აღარა აქვთ.

◆ 23 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ერევნის მოედნიდან ვორონცოვის ხიდისკენ მიმავალ ტრამვაის ვაგონის № 55 ვატმანს ვიღაც უცნობმა უშველებელი ქვა ესროლა. ქვა, წონით ორ გირვანქამდე, ჯერ ვატმანს მოხვდა კისერში და შემდეგ ვაგონის წინა ფანჯარას და ჩაამტვრია. დარეტიანებულმა ვატმანმა ვაგონი თავის დროზე ველარ შეაჩერა და ვაგონი მიმავალ ეტლს დაეჯახა და თვლები დაამტვრია. ადამიანთაგანი არავინ დაშავებულა.

◆ **უეცრივ გარდაცვალება.** 23 აპრილს თელავის მცხოვრებლებმა ნატალია გიორგის ასულმა მიკირტუმოვმა და ანნა გიორგის ასულმა ხითაროვმა, რომელნიც მარტყოფის ქუჩაზე სახლში № 8 სცხოვრობენ, პოლიციას განუცხადეს, ჩვენმა ძმამ ალექსი გიორგის ძე მირიმანოვმა (60 წლისა), რომელიც ნაზაროვის მისახვევში სცხოვრობდა, სადილობის დროს უცებ მუცლის ტკივილი იგრძნო და რამდენისამე წუთის შემდეგ გარდაიცვალაო. გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო თეატრში გაგზავნეს.

◆ **სურამის მომრიგებელ სასამართლოს ბოქაული მუსტაფა ბეგ ალაევი**, რომელსაც თავის საკუთარ ქალიშვილთან ცხოვრებას აბრალებდნენ და რომელმაც, როგორც ვწერდით, თავი მოიწამლა, უკვე გარდაცვლილა.

◆ **ლოთობის მსხვერპლი.** 22 აპრილს, ღამის 10 საათზე, მორიგმა პოლიციელმა ვორონცოვის ქუჩაზე ძალზე მთვრალი რუსი იპოვა—პენზენის გუბერნიის მცხოვრები ივანე გაბრიელის ძე რაზგილდეევი (46 წლისა), რომელიც პოლიციაში მიიყვანა. მთვრალი გონს ველარ მოვიდა და ჩქარა გარდაიცვალა. გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო თეატრში გაგზავნეს.

◆ 23 აპრილს, დილის 11 საათზე, ოლღას ქუჩაზე **თავის მოკვლის განზრახვით ტრამვაის ვაგონიდან № 21 გადმოვარდა 60 წლის დედაბერი**, სოფელ საგარეჯოს მცხოვრები მარიამ ფრიდონის ასული აბელაძე. ქალი ქვაფენილზე დაეცა და თავში მსუბუქად დაშავდა. სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ **ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს საზოგადოების კომიტეტი მადლობას სწირავს** ბარბარე ვასილის ასულ თამამშევისას, ვასილ მიხეილის ძე თამამშევს და ელისაბედ ვასილის ძე გარსევანიშვილს, რომელთაც საზოგადოებას ოცდა ხუთ-ხუთი მანეთი შესწირეს.

◆ **თავ. ზაქ. ერისთავის გვირგვინის მაგიერ ქართულ გიმნაზიასთან არსებულ სასადილოს შესწირეს:** ეკ. მიხ. და ნ. რ. ერისთავებმა 25 მან ნ. ელ. და ევგ. დავ. ქობულაშვილებმა—2 მან. და მ. ვ. და ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანებმა 25 მ.

◆ **ი. გრიშაშვილის ლექსთა სრული კრებული** მაისის დამლევს გამოვა. წიგნი დიდის ზომისა იქნება და აბრეშუმის სქელ ქაღალდზე დაიბეჭდება. წიგნს დაერთვის ავტორის სურათი და გრ. რობაქიძის წინასიტყვაობა.

◆ **სასიკვდილოდ დაჭრა.** 23 აპრილს საერთო ჩხუბის დროს (ათ კაცამდე იყვნენ) პეტრე სტეფანეს ძე ფომენკომ დანით სამს ალაგას სასიკვდილოდ დასჭრა ხონის მცხოვრები ბესარიონ ივანეს-ძე ბახტაძე.

◆ **შეწირულება.** ძმებმა ბოზარჯიანცებმა უკვე გადასცეს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების კანცელარიას 100 მანეთი, რომელიც იმათ შესწირეს „საზოგადოებას“ თავის დედის სახსოვრად.

◆ **დეკანოზ ალ. ზუმბულიძის დაკრძალვა.** გუშინ, 24 აპრილს, ანჩისხატის ტაძრის გალავანში მიწას მიაბარეს ამავ ტაძრის მცხოვან დეკანოზ ალ. ზუმბულიძის გვამი. წირვა და პანაშვიდის გადახდაში მონაწილეობა მიიღო გორის ეპისკოპოსმა ანტონიმ და ქალაქის სამღვდელოებამ. გალობდა კ. ჩარკვიანის გუნდი. წარმოითქვა სიტყვები. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

◆ **რევიზია.** გუშინ, 24 აპრილს ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიამ ქალაქის სპეციალურ თანხების ხაზინაში დაათვალიერა საქალაქო ზანდუკი, სადაც ერთი მილიონ მანეთზე მეტი ფული ინახება. ფული სრუ-

◆ **ლექციები.** 20 და 23 აპრილს ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფანოვის სავაჭრო სკოლაში ექიმმა ი. ს. იგიტიანცმა მოსწავლეთათვის ადვილად გასაგები ენით ორი ლექცია წაიკითხა „გვირილის“ დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ. ექიმმა მოსწავლეთ მარტივად აუხსნა ჭლექი და ზომები მასთან საბრძოლველად. მოსწავლენი დიდად კმაყოფილნი დარჩნენ.

◆ 23 აპრილს ტფილისში 43 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს** კრება ხუთშაბათს, 26 აპრილს მოხდება.

◆ 1911 წლის განმავლობაში ტფ. ტრამვაის ვაგონებზე 24 უბედურება მომხდარა. ოთხი კაცი მომკვდარა, 12 მძიმედ დაშავებულა და 8-მსუბუქად.

◆ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ** თავის უკანასკნელ კრებაზე საგანგებო მცირე კომისია აირჩია და დაავალა, შეიმუშაოს მოხსენება ქალაქის პირველ-დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ. კომისიაში შედიან: ა. ს. ბაბოვი, პ. ა. გოთუა, ს. ფ. ქრელაშვილი და ბ. იოანისიანი.

◆ **„კაპეიკის კავშირი“ საზოგადოების** კრება, რომელიც 23 აპრილს იყო დანიშნული, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო და შემდეგისათვის გადაიდო.

სომეხთა ცხოვრება.

◆ სახალხო სახლთან არსებულმა სომხურ წარმოდგენების მმართველ სექციამ მოიწვია მსახიობი ზარიფიანი. იგი სხვათა შორის ითამაშებს სოფოკლის „მეფე ედიპს“. ქ. კარამურზას 10 წლის გარდაცვალების აღსანიშნავად ქ. კალზკანში, აპრილის 8-ს გამართულა კონცერტი.

გამოვიდა სომხურ ენაზე კაზიმირ **ტეტმაიერის** ტრიუმფი (გამარჯვება). თარგმანი მასწავლებელ გ. მელიოანისა.

◆ ს. გიულბენკიანმა „მშაკის“ სასარგებლოდ 200 მანეთი შემოსწირა.

◆ ბათომის სომეხთა სკოლის სასარგებლოდ გამართულ საღამოს 1900 მანეთი შემოსავალი მიუცია.

◆ ტფილისში ჩამოვიდა მსახიობი ქალი აშხენ მამიკონიანი.

◆ გამოვიდა სომხური ჟურნალი „პატანი“ (მოზარდი). ამ ჟურნალში მონაწილეობას ღებულობენ ახალი მწერლები.

ბათომი.

◆ გვირილობა. დღეს ყულაბებით შეგროვდა ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებისათვის 3870 მანათი.

ბაქო

◆ ბაქო ყოველწლიურად სკოლებზე ჰხარჯავს 835 ათას მანეთს.

„გვირილობამ“ დღეს ბაქოში შეიკრიფა 15 ათასი მანეთი.

გორი

◆ **ყაჩაღების მოკვლა.** 19 აპრილ, ზემო-ხვედურეთის მახლობლად პოლიციამ მოჰკლა ცნობილი ყაჩაღები აბრამ ხორბალაძე და შაქრო იმერლიშვილი. მესამე ყაჩაღი გიგუცა მაზიაშვილი დაიჭრა და პოლიციამ ცოცხლად ჩაიგდო ხელში.

ხაშური

◆ გვირილობა დღეს შეაგროვეს ყულაბებით 139 მან.

სოფლად.

ს. გლდანი. შაბათს ადგილობრივი სკოლა დაათვალიერა სამინისტრო სკოლათა სამაზრო ინსპექტორმა კლენინჩენკომ. სწავლის დაყენებით კმაყოფილი დარჩა. აღნიშნა, რომ სკოლის შენობას შეკეთება სჭირდებაო. სკოლის გამგემ საამისოდ დირექციიდან ნივთიერი დახმარება სთხოვა. ინსპექტორმა აღუთქვა.

გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობის მესვეურთა საყურადღებოდ.

როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, სოფ. ზემო გომში (გორის მაზრა) არსებობს ეგრედ წოდებული „გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობა“, რომელსაც ადგილობრივი ხალხი „სინდიკატს“ უწოდებს. იგი თვალსაჩინო დაწესებულებაა, ბევრი მასზე დიდს იმედებს ამყარებდა, დღესაც დიდს იმედებს ამყარებს. ამიტომ ფართო საზოგადოება უნდა დაინტერესდეს მისი მოქმედებით. ამ ორიოდე დღის წინად ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო პატარა [illegible] მოქმედების შესახებ. მაგრამ ანგარიშის მშრალი ციფრები სავსებით ვერ გადმოგვცემენ გომის სინდიკატის მოქმედების მთელ სურათს, რომელსაც ბევრი არა სასურველი მხარეც ახლავს.

ეს ამხანაგობა მეთხუთმეტე წელიწადია რაც არსებობს და, როგორც ანგარიშებიდანა სჩანს, მისდევს უფრო სალს კომერციულს მოქმედებას. მაგრამ ამ კომერციულს მოქმედებაშიც აქა-იქ გამოსჭვივის ისეთი არა საკადრისი ფაქტები, რომელნიც სახელს უტეხავენ სინდიკატს ადგილობრივ მცხოვრებლებში. მე მოგახსენებთ მამულების სპეკულიაციაზე. სინდიკატს თავის პირდაპირ მიზნისთვის გვერდი აუხვევია და მიწის სპეკულიაციით ჰსურს გამოაბრუნოს აწეწილ-დაწეწილი საქმეები. სინდიკატის პირდაპირი მიზანია, როგორც მისი წესდება მოგვითხრობს, ხელი შეუწყოს ადგილობრივ მეურნეთ 1) სოფლის მეურნეობასა და ოჯახში საჭირო მასალის შეძენასა და მათი ნაწარმოების გასაღებაში; 2) აძლიოს სესხი ამხანაგობის საწყობში მიტანილ საქონლის გირაოდ და 3) გამართოს ხოლმე თათბირი ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა შესახებ.

ამხანაგობას ამ თავის პირდაპირ მიზნისთვის შესამჩნევად გვერდი აუხვევია და სპეკულიაციისთვის მიუმართავს ხელი. ტიტონ სჩადის იმას, რასაც უნდა ებრძოდეს. აი მაგალითებიც. გომის სინდიკატმა ადგილობრივ მემამულის ბ-ნ მამაცაშვილისაგან იყიდა მამული სოფ. გომის თავში 4500 მანეთად. ეს მამული, ზომით 104 დესეტინა, სინდიკატმა შეიძინა მოძრაობის დროს, როდესაც მიწების ფასი ერთბაშად დაეცა. ეს მამული მოფენილი იყო ტყით; სინდიკატმა გაჩეხილი ტყე გაჰყიდა 1500 მანეთად; მამულის ნახევარი კი მიჰყიდა სოფ. ვაყის მცხოვრებ სომხებს 7899 მანეთად 23 კაპ. ე. ი. ოთხ თუმნად ნაყიდი დესეტინა გაჰყიდა თხუთმეტ თუმნად (ვიღებ მთლიან ციფრას) ასეთ ფასში გაყიდვა აიხსნება მხოლოდ იმით, რომ გლეხებს ძალიან უჭირთ მიწა, თორემ საზოგადოდ იმ მხარეში მამული ასე ძვირად არა ფასობს. ამას წინად თ-დ გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ—დავითიშვილმა თავისი სატივოს მამული მიჰყიდა [illegible] 130 მანეთად დესეტინა, თუმცა ეს მამული გზაცილებით [illegible]. დანარჩენი 54 დესეტინა მტკვრის ნაპირას მდებარეობს. იგი ღირსებით გაყიდულზე დაბალია, რიყეა, ზევიდან ½-1 არშინი სისქე ქვიშა აყრია. სინდიკატი ამ მამულსაც ხელოვნურად უწევს ფასსა, რომელიც უკვე 7000-მდე ავიდა; მაგრამ მაინც არა ჰყიდის.

სინდიკატმა დაინარჩუნა აგრედვე სოფ. ბროლში თავ. დიასამიძეების მამული სივრცით 1800 დესეტინა. ეხლა სინდიკატის ხელმძღვანელი ამ მამულსაც ხელოვნურად უწევს ფასსა, 40 მანეთად ნაყიდ დესეტინას 159 200 მანეთად აფასებენ.

აი ასეთს გზას ადგია გომის სინდიკატი. მას ავიწყდება, რომ იგი მუშაობს თავად-აზნაურობის ფულით (30,000 მანეთამდეა) და სასკოლო კომიტეტის ფულით (9000 მანეთი) საზოგადოებრივი ქონებაა ჩაყრილი გომის სინდიკატში, და არავის არა აქვს უფლება ეს საზოგადო ქონება უგვანო სპეკულიაციისთვის გამოიყენოს, ისიც სინდიკატის ორიოდ-სამიოდ ამხანაგის სასარგებლოდ.

ესეც რომ არ იყოს, გომის სინდიკატის ხელმძღვანელებს ერთი რამ არ უნდა დაავიწყდეთ: მომავალი. დღეს თუ არა, ხვალ მაინც მთელი ჩვენი ქვეყანა და ზემო ქართლი მოიფინება მრავალ კოოპერატიულ დაწესებულებებით. სინდიკატმა მაშინ დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს კოოპერატიულ დაწესებულებებს. მაგრამ როგორ მოახერხებს ამას, თუ ეხლავე მას, როგორც კოოპერატიულ დაწესებულებას, ძირი გამოულპება და სპეკულიაციაზე ააშენებს თავის მოქმედებას?

ურიგო არ იქნება, თუ ამ გარემოებას ამხანაგობის მესვეურნი ჩაუფიქრდებიან და დროზე შეჩერდებიან... **არ. ჯ—შვილი.**

P. S. კოოპერატიულ ამხანაგობას გომის სინდიკატი ეხლაც „ეხმარება“. ერთს ოთახში, რომელშიაც საკრედიტო ამხანაგობის კასსა სდგას და რომლითაც კვირაში ერთხელ სარგებლობენ, სინდიკატი წელიწადში 60 მანეთს ახდევინებს. დაახმარებაც [illegible]! **ა. ჯ.**

სხვა და სხვა ამბავი

პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში 24 აპრილს გაფიცვა იყო, ლენში მომხდარ უბედურობის გამო.

სახელმწ. სათათბიროს სხდომები 2 მკათათვემდე გასტანს, სახელმწ. საბჭოსი კი მკათათვის გასულამდე.

როდესაც იალტიდან კოკოვცევი დაბრუნდება, უმაღლესი ბრძანება გამოვა, რომლითაც ლენის საქმეთა გამოსაძიებლად რომელიმე სენატორს დანიშნავენ.

დიპლომატიურ წრეებში ამბობენ, სახელმწიფონი ოსმალეთს ნებას არ მისცემენ, რომ რუსეთს დარდანელის დაკეტვის გამო მიყენებული ზარალი აუნაზღაუროსო.

მოსკოვიდან იუწყებიან, რომ შესაძლებელია ლენის მაღაროებში კიდევ არეულობა მოხდესო. ჯარი გაიგზავნა.

ოსმალეთის მთავრობის განკარგულებით, სტამბოლში დააპატიმრეს გემ „ტეხა“-სის კაპიტანი. მას ჯაშუშობას აბრალებენ.

მოხსენება სენაკის მაზ. თავად-აზნ. კრებისა.

ბატონებო! ოცდა რვა წლის წინად აქ, ამ ძველად სახელგანთქმულ დაბაში და აწ უკვე ჟამთა ცვალებადობის მიერ დაკნინებულ და ძველ სენაკად მონათლულ სოფელში, შეკრებილი იყო სამეგრელოს თავად-აზნაურობა,—ეს კრებული ამ დროის შესაფერად ცნობილი თავად ბახვა ფაღავას მეთაურობით მასპინძლად უხვდებოდა საქართველოს სასიქადულო მამულიშვილთ: დიმიტრი ყიფიანს, აკაკი წერეთელს, ივანე მაჩაბელს და სხვებს, რომელნიც ჩამოსულიყვნენ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებიდან, რათა გაეზიარებინათ სამეგრელოს თავად-აზნაურთა ლხენა.—ამ ლხენის მიზეზი იყო იმ ეროვნულ დაწესებულების დაბადება, რომელსაც ჰქვიან ძველი სენაკის სააზნაურო სკოლა. დიახ! ოცდა რვა წლის წინად იშვა და მოინათლა ეს ეროვნული ტაძარი სწავლისა. მეტი

იქნება ჩემის მხრით სიტყვის გაჭიანურება იმის შესახებ ,თუ რა ალფრთოვანებით იდღესასწაულე' აქ სკოლის კურთხევა. მეტი იქნება მისთვის, რომ თვით მიმრქმელი ამ ახლად განათლული სკოლისა ბ-ნი სამსონ ყიფიანი დღეს აქ ბრძანდება და უეჭველია ბევრი თქვენგანი პირადად დაესწრო ამ დღესასწაულს; მაშასადამე ჩემი ცოდნა ამ საგნის შესახებ, დამყარებულია იმ ცნობებზე, რომელიც ამოვიკითხე ჟურნალ „ივერიის“ მაშინდელ ერთ ნომერში მხოლოდ ჩონჩხია დღესასწაულის ნამდვილი სახისა და ის, როგორც ასეთი, თქვენს მაშინდელ შთაბეჭდილებას დიდს ვერას დასძენს.

დღეს, ოცდა-რვა წლის შემდეგ, როდესაც თქვენ კვლავ შეკრებილხართ, სხვა და სხვა დამაბრკოლებელ პირობების გამო შეფერხებულ სკოლის ვითარების გამოსარკვევად, მე, როგორც უხუცესი წევრი ამ სკოლის პედაგოგიური საბჭოსი, ამხანაგთა მონდობილობით ვკადნიერდები და შეძლების-გვარად გიამბობთ, თუ როგორ ცხოვრობდა დღემდე სკოლა, რა მიზანს ემსახურებოდა ის და რა პრაქტიკული სარგებლობა მოიტანა.

მე მოგახსენეთ, რომ ის ცნობები, რომელიც ამოვიკითხე ჟურნალ „ივერია“-ში, სკოლის კურთხევის შესახებ უბრალო ჩონჩხია დღესასწაულის ნამდვილი სახისა, მაგრამ ეს ჩონჩხიც კი აოცებს მკითხველს, რადგანაც ასეთი ზეიმით დღესასწაულობა დაბალი ტიპის სკოლის დაარსებისა იშვიათი მოვლენაა.

მართლაც! განა ცოტა დაარსებულა ჩვენში ამგვარი დაწყებითი სკოლები; მაგრამ მათ კურთხევაზე არავინ დასწრებულა. მაშ რით აიხსნება, რომ სამეგრელოს მკვიდრნი და საქართველოს წარჩინებულნი ძენი სენაკის სკოლის დაარსებას ასეთი აღფრთოვანებით შეხვდნენ? დამეთანხმებით, ბატონებო რომ, სხვისი რომ არა ვთქვათ რა, დიმიტრი ყიფიანი მაინც არ იდღესასწაულებდა ამ სკოლის დაბადებას უმიზნოდ.

ყოველ სკოლას, რასაკვირველია, მიზანი აქვს; მაგრამ მიზანიც არის და მიზანიც: თავისებური მიზანი აქვს იმ სკოლებსაც, სადაც სამი ოთხი წლის განმავლობაში თუთიყუშივით აზეპირებენ ყმაწვილს: пѣтушокъ, пѣтушокъ, золотой гребешокъ-ო და ბოლოს კი, როდესაც ყმაწვილი სკოლიდან კურს დასრულებული გადის, ეს „პეტუშოკი“ ერთხელ კიდევ იყივლებს—кукуреку-ს და სამუდამოდ გაფრინდება ყმაწვილის თავიდან. დიახ. ამ მიზნის მიმდევართ, რასაკვირველია, არაფრად ეჭაშნიკებოდათ სამეგრელოში, ისეთი სკოლის არსებობა, სადაც „პეტუშოკ-პეტუშოკის“ გარდა, იმასაც ასწავლიან შეგირდს, რომ—ის პატარა ქართველია კავკასიის მთების შვილი და რომ-ქართლ კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო ყველა მისი სამშობლოა საყვარელი საქართველო. აი ამისთანა სკოლის არსებობა არ ეჭაშნიკებოდათ აქ, მით უმეტეს იმ შავბნელ ხანებში, როდესაც ვაჟბატონ ამშრდიეშის დახმარებით ეკლესიებიდანაც კი ლამობდნენ ქართული წირვა ლოცვის გაძევებას. და აი ამ დროს მიმრქმელს სკოლისას ბატონ სამსონ ყიფიანს ალბად მცირე ხერხი და შრომა არ დასჭირდა, რომ ნავი სცილასა და ხარიბდას შუა დაუმსხვრევლად გაეტარებინა და თავის გზას არ გადასცდენოდა.

დიახ, ბატონებო! სხვა რომ არა იყოს-რა, ამ ოცდა რვა წლის განმავლობაში სკოლამ ის ნაყოფი ხომ მაინც გამოიღო, რომ 1400 მეგრელ ყმაწვილს შეასწავლა დედა ენაზე წერა-კითხვა და შეაგნებინა, რომ **ის პატარა ქართველია.** აი ერთი იმ მიზეზთაგანი, რაც ამ სკოლისადმი სიმპატიას იწვევდა დიმიტრი ყიფიანისა, აკაკი წერეთლისა და მისთანების გულში.

მართალია, მშობლებისა და ფართო საზოგადოებისგან ხშირად საყვედურები გვესმის: „გაჭიანურებულია ჩვენი სკოლების მოსამზადებელი კლასების კურსიო, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მშობლები და ფართე საზოგადოება სალ პედაგოგიურ პრინციპს მაგრე რიგად არ არჩევენ. იმათ ეჩქარებათ ყმაწვილმა კურსი მალე დაასრულოს, მოწმობა მიიღოს. ხელმძღვანელობს რა ამ პრაქტიკული მოსაზრებით, ფართე საზოგადოება ამბობს: „გიმნაზიის პირველ კლასისთვის კერძო პირები ორი წლის განმავლობაში ამზადებენ ყმაწვილებს და სკოლა კი ამავე საქმეს ოთხ წელიწადს ანდომებსო! ბატონებო! ოცი წელიწადია მე ვმასწავლებლობ, სანამ ამ სკოლაში დავინიშნებოდი, მიმსახურნია სხვა და სხვა სკოლებში და უკანასკნელად კერძო პანსიონშიც, იქ მეც ბევრი ყმაწვილი მომიმზადებია გიმნაზიის პირველ კლასისთვის **სახელდახელოდ**, მაგრამ მოგახსენებთ, რომ ამგვარ მომზადებას სწორედ **სახელდახელოდ** მომზადება ჰქვიან: საკმაოა ყმაწვილს გაიზეპირებინოთ ხუთიოდე რუსული ლოცვა; ათთორმეტი ისტორია ახალი აღთქმიდან, შვიდი თუ რვა იგავარაკი კრილოვისა, მექანიკურად შეასწავლოთ ოთხი მოქმედება არითმეტიკისა და პირველ კლასში შესასვლელი ცოდნა მზად არის; მაგრამ ეს ცოდნა კი არა, ცოდვა არის! დიახ, ცოდვა! რადგან იმაზე დიდი ცოდვა განა კიდევ იქნება, რომ ყმაწვილის სათუთი ბუნება ძალდატანებით მანქანასავით მოაწყო საჭირო მასალის შეუგნებლად გასაზეპირებლად მხოლოდ იმისთვის, რომ ეგზამენი ჩააბაროს?! არავითარი ბუნებრივობა, არავითარი შეგნება და თანდათანობა ბავშვის განვითარებაში ასეთ მომზადების დროს არ არის დაცული. მაშასადამე ფართე საზოგადოების გულძვირობა შეცდომაა და ეს სკოლა ამ მხრითაც სწორ გზაზე დგას.

ამას უნდა დაუმატოთ პრაქტიკული მიზანი სკოლის არსებობისა სამეგრელოში, როგორც მოგეხსენებათ, ეს სკოლა ჩვენი გიმნაზიის პირველ კლასში შესასვლელი პირდაპირი კიბეა. ადგილობრივ ხელ მოკლე აზნაურობას ეს კიბე დიდ შეღავათს აძლევს. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, ეს სკოლა რომ არ ყოფილიყო, ბევრი მეგრელი ყმაწვილი, რომელიც ეხლა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, გიმნაზიის კარებსაც ვერ ნახავდა. დავასახელებ ერთ თვალსაჩინო მაგალითს: მე ვიცნობდი განსვენებულს ნ. ფოს. ის მცირე შეძლების კაცი იყო, მაგრამ ოთხი მისი ვაჟი დღეს უმაღლეს სასწავლებელშია და ორი თუ სამი გიმნაზიაში. ამ ყმაწვილებმა ამ სკოლაში დაიწყეს სწავლა და რაკი ნიჭიერნი აღმოჩნდნენ, მამამაც გაბედა მათი გიმნაზიაში წაყვანა; ვამბობ, ეს სკოლა რომ აქ არა ყოფილიყო, იმ ყმაწვილებთაგან შეიძლება ორსაც ვერ ენახა გიმნაზიის კარები.

პ. ლორთქიფანიძე.

(დასასრული იქნება)

გვირილობა“ ხაშურში.

ხაშურმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ბ-ნ ქიქინაძის მეთაურობით გვირილობის საქმეში, ფრიად სასიამოვნო სანახავი იყო როდესაც განურჩევლად ყველანი, დიდს სამზადისსა და შრომაში იყვნენ საკაცობრიო დიდ მნიშვნელოვან 20 აპრილისათვის დადებულ დღის დასახვედრად; მორთეს ცოცხალის ყვავილებით მთელი ხაშურის რკ. გზის სადგურის ბაქანი, ბაქანზედვე გააკეთეს ორი საუცხოვო კიოსკები ცოცხალი ყვავილებისაგანვე, სადაც მანდილოსნების მიერ იყიდებოდა „თეთრი ყვავილები“, მოიწვიეს ადგილობრივი მოწაფეებთა და მოხალისეთა ორი ორკესტრი რომელთაც იკისრეს უფასოდ დაკვრა მუსიკისა, რისთვისაც ჯეროვანი ნებართვაც იყო მიღებული, მოაწესრიგეს ბანოვანთა რაზმების განაწილება ყვავილების გაყიდვის საქმეში და სხვა, ესე რომ ყველაფერი საუცხოვოდ მომზადებული იყო, როდესაც 19-ს საღამოს რკინის გზის სამმართველოდან განკარგულება მიიღეს რომ სადგურის არე-მარეში ასეთი დღესასწაული შეუძლებელიაო, რის გამოც იძულებულნი გახდნენ ყოველივე მომზადება მოეშალათ, და მოქმედება სოფელში გადაეტანათ, ამიტომ და მთელი დღე უამინდობის მიზეზიდაც დღეობამ უფერულად ჩაიარა, მაგრამ მხნე ბანოვანებმა 149 მანეთი მაინც შეაწერიეს.

სრული ორი კვირაა აქ გადაუღებლივ წვიმს და სიცივეებიც დაიჭირა. რა გავლენას იქონიებს ასეთი ამინდები ქირნახულზე და ხეხილზე ჯერ გამორკვეული არ არის.

ალმასხანის შვილის-შვილი.

გვირილობა ბათუმში

20-ს აპრილს დილით ცა მოღრუბლულია; აქა-იქ შეხვდებით ქუჩებში ქალ-ვაჟთ სავსე კალათები „თეთრი ყვავილებით და ყულაბით.—აგერ ცამ გაიცინა ღრუბელნი განიფანტნენ და მზემ გამოაშუქა თვისი უხვი შუქით. ქუჩებს ახლა კი არა ჩვეულებრივი მოძრაობა დაეტყო. გამოჩნდა ეტლები ყვავილებით მორთულნი. გამოჩნდნენ ქალ-ვაჟნი თეთრის და ლურჯის ლენტებით, რომელთაც ზედ მსხვილი ასოებით აწერია: „თეთრი ყვავილი“—იყიდეთ. აგერ სამხედრო მუსიკაც გაემართა უმთავრეს ქუჩებისაკენ აქ ვინც შეხვდებათ ბერი-ერი, მოხუცი-ყრმა, ყველა იხიბლება ამ სანახაობით, და არავინა ზოგავს თვის წვლილს ყულაბაში ჩაშვებით. საღამოს ხალხი გამოიშალა ბულვარში აქაც მეორდება მუსიკა, ქალ-ვაჟთა სეირნობა, ხედავთ—ერთს მეორეს ყვავილებით აჭრელებულთ, ყვავილები გაკეთებული აქვთ: ქუდზე, მკერდზე, მკლავებზე და სხვ... ყველა ხარობს—ყველა იცინის. ჩინებული ჩვეულებაა, ჩინებული! იძახიან აქეთ იქიდან. ღმერთმა ჰქმნას ყოველ წლივ გამართონოთ ესეთი კარგი დღესასწაული ამბობს მეორე — ეს პირველი წელიწადია იმართება ესეთი გონივრული დღესასწაული ბათუმში და თანაგრძნობით შეხვდა ხალხი!.. 68 ყულაბაში, რომელთაც ატარებდნენ სახელმწიფო ბანკში ათიოდე საპატიო პირთა თანადასწრებით გახსნეს და აღმოჩნდა 3870 მან. ეს საკმაო თანხაა ბათუმისათვის, რომელიც პირველად დღესასწაულობს ამ დღეს!

ტრ. ი—ძე.

პარადოქსი

ივერთ სიცეტის მკაცრი მძრახველი,
მე ვოხუნჯობდი, თან ვიცინოდი...
მაგრამ გადვისვი თვალებზედ ხელი
და ცრემლი ვიგრძენ... თურმე ვსტიროდი!

* * *

მეფიცებოდი ტურფავ, სიყვარულს!
წრფელად ვოხრავდი, წრფელად ვსტიროდი...
თანაც შენდამი ვგრძნობდი სიბრალულს
რადგან ვიცოდი, რომ... ვიცინოდი!

* * *

ნუ გაიკვირვებ: ოდესაც ვსტირი,
იცოდე მაშინ სიცილით ვკვდები!
და როს ვხითხითებ, ვითა სატირი—
მაშინ ტანჯვის და ცრემლის ტბად ვხდები!

კ. მაყაშვილი.

ფრინველების გამოფენა
გორში

რუს. საიმ. სამეურ. საზოგადოების განყოფილებამ 21—23 აპრილს გამართა გორში ფრინველების გამოფენა. მონაწილეობა მიიღეს მომეტებულად ადგილობრივმა მკვიდრთ. სულ 15 წარმოედგინა ნიმუშები. 50 გალია იყო.

ექსპერტიზამ რამდენიმე ჯილდო დანიშნა.

1) **ოქროს დიდი მედალი.** ნ. ა. მუდიანსკის. 2) **ოქროს პატარა მედალი** თ-დ მ. რ. ერისთავს, 3) **ვერცხლის დიდი მედალი** ვ. ა. ენგელმანს. 4) **ვერცხლის პატარა მედალი** ფ. ა. სმირნოვს და ნ. ა. მდივანს. 4) **ბრინჯაოს მედალი:** ვ. ი. გეიდემანს, და თ-დ დ. ბ. ციციშვილს.

ქების ფურცელი: გლეხს სეხნიაშვილს, მ. ა. ლესკოვს, გ. ი. ენგელმანს და გ. დუნინს.

ხმა იურიევიდან

აპრილის პირველ რიცხვებში იურიევის ქართულ სათვისტომოსთან არსებულმა „ქართულმა სალიტერატურო წრემ“, აკ. პაპავას თაოსნობით სათვისტომოს სადგომში გამართა საინტერესო საღამო **თ. ვახტანგ ორბელიანის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო.** იუბილეი შესდგებოდა 3 ნაწილისაგან.

I განყოფილებაში ფარდის ახდისას გამოჩნდა გადიდებული სურათი თ. ვახტანგისა, საგანგებოთ ამ საღამოსთვის დახატული ბ-ნ გ. მარგველაშვილის მიერ. სურათმა მხურვალე ტაშის ცემა გამოიწვია, როგორც ქართველებთა აგრეთვე უცხო ტომთა შორის, რომლებიც დაესწრენ საიუბილეო დღესასწაულს. მგოსნის სურათს, ნაციონალურ კოსტიუმში გამოწყობილმა ა. მხეიძემ მიმართა ლექსით. (ლექსი ა. მდივრისა, საგანგებოთ ამ დღისთვის დაწერილი). ამის შემდეგ ბ-მა პროზოროვსკიმ და ვართანიანმა დაუკრეს სოლო, პირველმა როიალზე-მეორემ სკრიპკაზე. სოლოს დაკვრის შემდეგ ბ-მა ა. მ—ძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო მოკლე ბიოგრაფია ვახტანგისა.

II განყოფილებაში ბ. აკაკი პაპავამ წაიკითხა ლექცია ვახტანგ ორბელიანზე, ლექცია მეტად შინაარსიანი იყო, მას ქართულად ქონდა დამზადებული ლექცია, მაგრამ, რადგან უცხოელმა სტუმრებმა სთხოვეს ლექცია რუსულად წაეკითხა, ლექტორიც იძულებული იყო-სტუმრების სურვილი შეესრულებინა. თავის ლექციაში ბ-მა პაპავამ დაახასიათა მგოსნის შემოქმედების უმთავრესი თვისებანი, აღნიშნა მისი სულის კვეთება, დრო, პირობები და ყველა ის მოვლენები, თუ რა უწყობდა ან უშლიდა ხელს მის პოეზიის გაფურჩქვნა-განვითარებას. ლექტორი ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ლექციის წაკითხვის შემდეგ „ტრიო“-მ ბ. პ. შაქარიშვილმა, არ. ღვინიაშვილმა და ნ. ლოლობერიძემ იმღერეს ვახტანგის ლექსები, სასიმღეროდ გადმოკეთებული ბ. ი. მონადირიშვილის მიერ.

III განყოფილებაში დადგმულ იქმნა „იმედი“ სურათად გადმოკეთებული ბ-ნ პაპავას მიერ. სურათში მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნი მ. ჰეიშვილი კ. ხოჭოლავა, ვ. ჩირგაძე, გ. გულბანი და გრ. მარგველაშვილი. სურათს მოჰყვა ხოროს სიმღერა, ბ-ნ მონადირიშვილის ლოტბარობით, სიმღერის შემდეგ წაიკითხეს ლექსები თ. ვახტანგისა, გ. გულბანმა და ე. ნიჟარაძემ დასასრულ გაიმართა ცეკვა თამაში, რომელიც გაგძელდა დილის 5 საათამდე.

10-ს აპრილს ბ-ნმა გრ. რობაქიძემ წაიკითხა რუსულად რეფერატი: „შემოქმედება და სინამდვილე“ თემა ფილოსოფიური იყო. წაკითხვის შემდეგ გაიმართა კამათი, რეფერატი ძლიერ საინტერესო იყო და მშვენიერი შთაბეჭდილებაც დასტოვა მსმენელებზე.

1 მაისს სათვისტომო აპირობს **თამარ მეფის იუბილეის** გადახდას და მისთვის უკვე ამოირჩა სპეციალური კომისია, რომელსაც ევალება პროგრამის შემუშავება და იუბილეის მოწყობა.

ალ. მხეიძე.

წერილი განჯიდან

სად. განჯა. 17 აპრილს, სად. განჯის დარბაზში ბ-ნ ექიმმა კლემ. კონსტ. **თოფურიძემ** წაიკითხა ქართულად **უფასო ლექცია** ჭლექის შესახებ. ლექციაზე დაესწრო დიდძალი მსმენელი, რომელიც დიდის ყურადღებით ისმენდა ამ ფრიად საყურადღებო საგანზე ლექციას. წაკითხვის დროს შესამჩნევი სიჩუმე სუფევდა, ლექციამ დამსწრე საზოგადოების ყურადღება მიიზიდა. ლექცია მდიდარი შინაარსისა იყო და ფორმითაც ადვილი გასაგები, რასაც ხელს უწყობდა მდაბიო ენით გადაცემა. მუშა ხალხი მეტის-მეტი ხალისით ეკიდება მეცნიერულ შინაარსიან ლექციებს. სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ პირველ ნაბიჯს, საერთო დამშვიდების შემდეგ განჯელ ქართველებთა შორის და ვუსურვებთ რომ ამ გვარი ლექცია უკანასკნელი არ ყოფილიყოს.

კონსტ. ნოდია.

მოწერილი ამბები

სოფელი ფშაველი (თელავის მაზრა). მოახლოვდა ზაფხული და სოფ. ფშაველსაც ეწვია მუდმივი მოაგარაკე ციავ-ცხელება. საითაც გაიხედავთ, ყველგან გაყვითლებულის სახით და ძაგძაგით მყუდროებს წამოსწოლილან ციავ-ცხელებიანი ავადმყოფები. ეს არის ამათთვის ერთად ერთი თავშესაფარი. იშვიათია სადმე ოჯახი საიდანაც ზაფხულობით „დამხურეს“ ძახილი არ გამოისმოდეს. ამისი მიზეზი აქაური აუტანელი პური და უპატრონობაა. 13-დან 15-დე ამ აპრილს აქ ისევ ზამთრის ამინდები მოგვიბრუნდა და თოვლიც თვალსაჩინოდ ჩამოყარა, რა თქმა უნდა მოულოდნელი სტუმარი სიკეთეს არ მოგვიტანდა-ყველას თავზარი დასცა. შარშან იყო სეტყვისაგან გაოხრებული მოსავლით ვიყავით გულდათუთქული და წელს კიდევ ლამის ამ ამინდებმა მიწასთან გაგვასწოროს. შევცქერით ამ უბედურობას, რომელიც დაგვატეხა თავს სტიქიონურმა ძალამ, გულ-ხელ დაკრეფილი და ვითმენთ ორივე მხრით დაბრიყვებას, ძირიდან ადამიანები გვბრიყვებენ მაღლიდან ბუნება, რის პატრონებს შევიძლიან გაუძლოთ ამ ორს ძალას!?

წყაროსთაველი.

იტალიის ფლოტი დარდანელთან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

5—18 აპრილი საისტორიო დღეა ოსმალეთისთვის. ამ დღეს სტამბოლი დღესასწაულობდა პარლამენტის გახსნას და იმავე დროს იტალიის ფლოტი დარდანელის სრუტის სიმაგრეებს ზარბაზნებს უშენდა. პირველ დღეს თითქოს ვერაფერი გავლენა იქონია, რადგანაც არ სჯეროდათ, თუ იტალია გაბედავდა დარდანელის სიმაგრეებზე დაცემას. მეორე დღიდან კი მთელს ქალაქს მწუხრის ზეწარი გადაეფარა. ხალხი შიშმა შეიპყრო. ბევრი მოელოდა, რომ იტალია დარდანელს გაჰგლეჯს და სტამბოლს მოადგებაო. ათასნაირი ხმები ვრცელდებოდა. მართლაც და საშიში მდგომარეობა იყო, მოწინააღმდეგე 8 საათის სავალზე იყო და თუ დარდანელის სიმაგრეებს გაუსხლტებოდა, მთელი ოსმალეთი საფრთხეში ჩავარდებოდა. ბევრი უცნაური ხმები დადიოდა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა იტალიის ფლოტმა უკან დაიწია, სტამბოლმა იგრძნო, რომ არც ისე ცუდად იყო მისი საქმე.

რა იყო? რა მოხდა? განა იტალიის საქმე ისე კარგად არის ტრიპოლში, რომ დედა-ქალაქ სტამბოლში მოდის?! სულაც არა. პირ-იქით, იტალია წაგებულია. დღეს იგი წააგავს დაჭრილ ლომს, რომლის ღრიალიც მთა-ბარს აყრუებს; დაჭრილია, მაგრამ აზრუს არ იტეხს, ხან ერთს ნაპირს მიაწყდება და ხან მეორეს. ამასთან საკვირველი ის არის, რომ გამარჯვებული იტალია (?) თვით იძახის, შემარიგეთო! მთელი ევროპა ჩაერია, მაგრამ ვერას გახდნენ, რადგანაც ზავის პირობანი აუტანელი იყო ოსმალეთისთვის. იტალიამ ახალ ხერხს მიჰმართა. 5/18 აპრილის საზღვაო გამოლაშქრებით ოსმალეთი აიძულა დარდანელი დაეკეტა, რითაც ევროპიელ სახელმწიფოთ ქონებრივი ზარალი მიადგებოდათ. ეს უკანასკნელი გარემოება კი ევროპიელთ აიძულებდა ჩარეულიყვნენ ზავის საქმეში და ოსმალეთზე მეტი გავლენა მოეხდინათ იტალიის სასარგებლოდ. მართლაც, ინგლისი და რუსეთი ჩაერივნენ, მაგრამ არც ისე, რომ იტალიის უკუღმა მტრიალი ბედი წაღმა დატრიალებულიყო. საკითხავია, რა ნაყოფი გამოიღო დარდანელის დაკეტვამ? მთელი ბოსფორის და დარდანელის სრუტეები უცხო გემებით აივსო. მოძრაობა აღარ არის, ვაჭრობა შესუსტდა, დიდი ზარალი მოსდით ევროპიელთ, განსაკუთრებით ინგლისსა და რუსეთს. მართალია ყველა შიშის თვალით ადევნებდა ინგლისის და რუსეთის საელჩოების ნაბიჯებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით სამართლიანნი აღმოჩნდნენ. ორივემ მეგობრულის კილოთი განუცხადა ოსმალეთის სამინისტროს, რომ **ისინი სტოვებენ ოსმალეთის უფლებას დარდანელის დაკეტვაში, მაგრამ რადგან უზომო ზარალი მოსდით, სასურველად მიაჩნიათ მალე გაიღოსო.** ამისთანა განცხადებამ კარგი გავლენა მოახდინა მაღალ წრეებში და გაზეთებიც სიხარულით აღნიშნავდნენ. ორ სახელმწიფოს განცხადება განიხილა პორტამ და 23 აპრილს შემდეგი პასუხი მისცა:

ჩვენ სულაც არა გვსურს ზარალი მოგაყენოთ, პირიქით ძალიან ვწუხვართ, მაგრამ რადგან მტერი კარზე გვადგია, იძულებული ვართ დარდანელი დავკეტოთ იმ დრომდე, სანამ ასეთი გარემოება იქნება, ხოლო თუ თქვენ უზრუნველგვყოფთ იტალიის დარდანელში შემოსვლიდან—ახლავე დაგითმობთ და გავაღებთ.

ამას გარდა, ადგილობრივი გაზეთები იმასაც აღნიშნავენ, რომ ევროპას თუ ძალით არ ჰსურს საქმის გართულება, შეუძლიათ დროებით უდარდანელოდაც იოლად წავიდეს, რადგან ჩვენ (ოსმალთ) გვაქვს რკინის გზა სტამბოლიდან სალონიკამდეო.

ეხლა ცოტა არ იყოს მშვიდობიანობაა, მაგრამ მითქმა მოთქმას და ეჭვს კიდევა აქვს ადგილი. ამბობენ, ამითაც თუ ვერას გახდა იტალია, მაშინ შემოიჭრება დარდანელშიო, მაგრამ ეს ფიქრი შიშის ნაყოფი უნდა იყოს. დარდანელი საშინელი სიმაგრეა, რამდენიმე საათის სავალზე სრუტის ორივე ნაპირები კლდეებზე გამაგრებულ ციხეებით არის მოფენილი. დიდს შთაბეჭდილებას ახდენს მგზავრებზე, როცა გემი სრუტეში შეცურდება ხოლმე. საშინელი ბუნებრივი და ხელოვნური სიმაგრე. ახლა მთელი სრუტე შეკრულია ჯაჭვებით და სხვა და სხვა სიმაგრეებით: მთაზე ზარბაზნებით და წყალში ნაღმებით.

დასასრულ მინდა მოგახსენოთ იმაზედაც, [illegible] უკანასკნელმა ამბებმა სტამბოლის ნივთიერ ცხოვრებაზე და ოსმალეთის მახლობელ სახელმწიფოებზე. გაიგეს თუ არა ვაჭრებმა, დარდანელი დაიკეტაო, ყველა საქონელს ხელოვნურად ფასი აუწიეს. მეპურეებმა ხმა გაავრცელეს, ფქვილი არ არისო. ხალხი ზღვასავით მიაწყდა ფურნეებს, რათა დიდი ხნისთვის მოემარაგებია პური. მერე აღმოჩნდა, რომ ფქვილი საკმაოდ იყო.

ქალაქის გამგეობა იძულებული შეიქმნა გაზეთებში გამოეცა ყველა სანოვაგის დაწვრილებითი ფასი. საზოგადოდ კი სანოვაგის ფასმა 15% აიწია, გამოცხადებულია, რომ თუ ვინმე დაიჭირეს ტყუილ ცნობების გავრცელებაში სანოვაგის შესახებ, საალყო წესით გაასამართლებენ. ამ ზომამ ცოტა არ იყოს იმოქმედა ვაჭრებზე. სანოვაგეში ყველაზე უმთავრესი პურია და ამაზე ბევრსაც ლაპარაკობენ. ამბობენ ახლა თუ საკმაო არის, შეიძლება, ასეთი მდგომარეობა რომ დიდხანს გაგრძელდეს, პური დაგვაკლდესო, მაგრამ ეს აზრი უსაფუძვლოა და ვაჭრების მიერ გაზვიადებული. გამოირკვა რომ 70% ფქვილსა და 95% პურის სხვა და სხვა მარცვლეულობისა მოდის იმისთანა სახელმწიფოებიდან, როგორც არის: რუსეთი, ავსტრია, რუმინია, ბოლგარია და სერბია, რომელთაც ყოველთვის შეუძლიათ სანოვაგის შემოზიდვა სტამბოლში. ამგვარად სტამბოლს ამ მხრივ შიში არ მოელის.

რაც შეეხება მეზობელ სახელმწიფოთა საქციელს, მოულოდნელი არა მომხდარა-რა. საბერძნეთი, ჰუნგრეთი და ბოლგარეთი სამზადისში არიან და ხმა აღიმაღლეს: საბერძნეთი იმედოვნებს, რომ რუსეთი მხარს დაუჭერს კრიტეს საბერძნეთთან შეერთებას, ავსტრია ჯარებს აგროვებს ოსმალეთის საზღვართან, ბოლგარეთი აშკარად აცხადებს დროის შესაფერისობას და სხვა. ერთი სიტყვით დარდანელზე თავდასხმამ ბევრს სახელმწიფოს აუშალა საღერღელი. განსაკუთრებით აღფრთოვანდა, გარეგნობით მაინც, ბულგარეთი. გამოაცხადა, რომ სანამ ომი მარტო ტრიპოლში იყო, ნეიტრალიტეტის დამცველი ვიყავ, ხოლო ახლა, როცა ომი თვით ოსმალეთის ნაპირებზე გადმოვიდა, თავისუფალი ვართ ჩვენს მოქმედებაშიო. ბულგარეთის შოვინისტური გაზეთები „დნევნიკი“ „პრეპორეცი“, „ვოლია“ და სხვა—ეწევიან ოსმალეთის საწინააღმდეგო აგიტაციას და ურჩევენ ადგილობრივ მთავრობას, კარგად დაუხვდეს შემთხვევას და ისარგებლოს ოსმალეთის დასუსტებით. ბულგარეთის სამხედრო მინისტრი ნაკიფოროვი აცხადებს, რომ „ჯარი მზად არის, მხოლოდ ჩვენს დიპლომატებზეა საქმეო“. მთელი ბულგარეთი, გარდა დიდ ვეზირ გეშოვისა, რომელიც ვერ ხედავს საკმაო ნიადაგს ბულგარეთის ჩარევისას, რაღაც არა ჩვეულებრივ სიხარულშია. ბულგარეთის სოციალისტები კიდევ ბალკანეთის ფედერაციაზე წერით კმაყოფილდებიან.

ამგვარად, დარდანელის ცეცხლმა თუ ვერაფერი არგო იტალიას, ოსმალეთი ყოველ-შემთხვევაში აზარალა, დროებით მაინც, როგორც ქონებრივად ისე პოლიტიკურად...

დ. ჩიქოვანი.

„ტიტანიკის“ გარშემო

ამ დღეებში ნიუიორკში მივიდა გერმანელი გემი „ბრემენ“. მას „ტიტანიკის“ გეზზე გამოუვლია. მგზავრები ამბობენ თურმე, ასობით დამხრჩვალთა გვამი ტივტივებს ოკეანეზე, სჩანს სანაოსნო ქამრები ჰრტყმიათ „ტიტანიკზე“ დაღუპულთაო. ზოგს ნავის ნატეხი შერჩენია ხელში, ზოგს სკამი, მაგიდის ფეხი... ზოგს გალურჯებულ ხელებში დამხრჩვალი ბავშვი დაუბღუჯია, ზოგს გულზე მიუკრავს.

„ბრემენის“ კაპიტანს უთქვამს: ერთგან ორასზე მეტი გვამი სცურავდა და გემს გეზი შევაცვლევინე, რომ არ გადამესერა ეს მცურავი სასაფლაოო. მომხდარ უბედურობის მიდამოში, კაპიტანის სიტყვით, შვიდი უზარმაზარი ყინულის მთა დასცურავდა თურმე და გემი დიდის სიფრთხილით უქცევდა გზას.

ლენის მუშათა დახოცვის გამო.

ლენში მომხდარ ამბების გამო, ნამინისტრალი და სახელმწ. საბჭოს წევრი ტიმირიაზევი სცდილობს თავი გაიმართლოს. იგი „ნოვოე ვრემიაში" სწერს, რომ მე თავმჯდომარედ ვიყავ ლონდონში არსებულ ინგლისის საზოგადოებისა, რომელსაც ლენის სამრეწველოს აქციები აქვს. თვითონ მეც არც ერთი რუსული აქცია არა მაქვს და თუ მაქვს აქციები, ისიც მხოლოდ ინგლისელ ამხანაგობისაო. ესეც მხოლოდ მისთვის დამჭირდა, რომ ამხანაგობის გამგეობაში მოვყოლოდიო.

ამაზე „ბირჟევია ვედომოსტი" სწერს: ინგლისელმა კაპიტალისტებმა და ლენის ამხანაგობის სააქციონერო საზოგადოებამ საზიაროდ შეიმუშავეს ლენის ამხანაგობის ეკონომიური პროგრამმა. ამ პროგრამის განხორციელება კი მიანდვეს ვ. ი. ტიმირიაზევს. ცხადია ტიმირიაზევიც არა ნაკლებ პასუხისმგებელია ლენის საქმეში, ვიდრე მთელი გამგეობა.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

სტამბოლი. როდესიდან 17 ვერსის მოშორებით, იტალიელებმა დაიჭირეს კუნძული კალიცა, ოსმალთა ბატარეიას სროლა აუტეხეს და როდოსზე ჯარი გადაიყვანეს. ცხარე ბრძოლა იყო.

დარდანელის სრუტეში ჩაწყობილ ნაღმების ამოკრეფა, უამინდობისა გამო, შეფერხდა. სრუტე შეკრულია.

როდოსი. ოსმალეთის ჯარი 21 აპრილს რამდენიმეჯერ დაამარცხეს. იტალიელებს მოუკლეს ერთი, დაუჭრეს 6. ოსმალებს მოუკლეს 23, დაუჭრეს 48. 57 ოსმალო ტყვედ წაიყვანეს. 22 აპრილს კუნძულის გუბერნატორი კაპიტულიაციაზე დასთანხმდა. იტალიელნი ქალაქში შევიდნენ.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

ურგა. იუანშიკაიმ სამჯერ მიჰმართა მონგოლეთს, ურგაში წარმომადგენელები გამოგზავნეთ მოსალაპარაკებლად და ჩინეთის რესპუბლიკის სალიარებლადაო. ხუტუხტამ სამჯერვე შემოუთვალა: მაგ საქმის გამო შუამდგომლობა რუსეთსა სთხოვეთო.

ურგაში მონგოლები აარსებენ სკოლას რუსულ ენის შესასწავლად.

მუკდენი. იუანშიკაის აგენტები მანჯურიის ქალაქებში მოგზაურობენ, რათა გამოიკვლიონ თუ რა დონეზეა დამდგარი მონარქისტული მისწრაფება და ამასთანავე რესპუბლიკის სასარგებლოდაც იქადაგონ. აგენტები დაბეჯითებით მოითხოვენ, ნაწნავები მოიჭერით, ეგ დაცინთა გვარეულობის მონობის მომასწავებელიაო. ხალხი თანაგრძნობით ეკიდება მათ. მთავრობაც ეხმარებათ.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები

ლონდონი „ტაიმსს" თეირანიდან აუწყებენ: 200 ავღანელმა სპარსეთის საზღვარი გადაიარეს იეზდიან. მეორე უფრო ძლიერი რაზმიც აპირებს გადასვლას.

თეირანი. ხამადანიდან დამაფიქრებელი ცნობები მოდის ფერმანფერმის რაზმის მდგომარეობაზე. ამის გამო მთავრობამ სასწრაფოდ ხამადანში ეფრემსა ჰგზავნის.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

სახღვარ-გარედ.

23 აპრილი.

ტოკიო. არსდება საფრანგეთ-იაპონიის ბანკი. ამ საქმესთან აკავშირებენ იმ ხმებს, რომ იაპონია 100 მილიონ იენს ისესხებს ვიწრო-ლიანდაგიან რკინიის გზების გასაფართოვებლადაო.

ტოკიო. აქ ფარულად ჩამოვიდა გერმანიის პრინცი ვოლდემარი.

ლონდონი. რუსეთის დედოფალი მარია ფეოდოსეს ასული, ინგლისის მეფე-დედოფალი და გვარეულობა და სხვანი ვინძორის ციხე-დარბაზში გაემართნენ, სადაც სასახლის კარის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მეფე ედუარდის სულის მოსახსენებლად.

პარიზი. 22 აპრილს მთელს საფრანგეთში სამუნიციპალო საბჭოთა არჩევნები იყო. პარიზში ისევ ძველი საბჭო აირჩიეს.

გარეშე საქმეთა ნამინისტრალი დესელვი უარყოფს, ვითომც მას თავისით ემოქმედნოს, როდესაც მაროკოს სულთანმა ტახტიდან გადადგომის სურვილი გამოსთქვა.

ნიუ-იორკი. რამდენიმე ათასმა სუფრაჟისტმა ქალმა და მათმა თანამგრძნობმა კაცებმა დიდებული დემონსტრაცია გამართეს. დიდძალი მაყურებელი ხალხი მასხარად იგდებდა ამ პროცესიას. განსაკუთრებით ჩინელთა დეპუტაციას დასცინოდნენ, რომელნიც ღია ეტლში ისხდნენ და ჩინეთის რესპუბლიკის დროშა აეფრიალებინათ.

ჩიკაგო. გაფიცული სტამბის მუშები სცდილობენ გაფიცვა ყველა დარგზე გაავრცელონ, რომელიც კი ამერიკულ გაზეთის გამომცემელთა საქმეს ეხება. კვირას გაზეთის მხოლოდ თითო გამოცემა გამოვიდა.

რომი. „ტრიბუნას" ათონიდან აუწყებენ: სამსის მკვიდრნი გამოაცხადებს სამსის კუნძული საბერძნეთს უერთდებაო.

რუსეთი

თემირ-ხან-შურა. 22 აპრილს გაიხსნა პირველი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა დაღესტანში. სენატ ვატაცის თავმჯდომარეობით თათბირი მოხდა, დაღესტნის სასოფლო-მეურნეობის გაუმჯობესების თაობაზე.

გომლი. გოგოლის ძეგლი დიდის ზეიმით აკურთხეს.

იალტა. ბულგარეთის ეროვნულ კრების თავმჯდომარე დანევი ჩამოვიდა.

პეტროვსკი. კავკასიის ნამესტნიკმა პეტერბურგისაკენ გაიარა.

ფრენა

სევასტოპოლი. სამხედრო მფრინავი კაპიტანი ლახტიონოვი ფარმანის აეროპლანით აფრინდა, თან გაიყოლა მეხანიკი კოტოვიჩი. საფრენი გატყდა. მგზავრი ფეხებში დაიჭრა. მფრინავი უვნებლად გადარჩა.

თეატრი და ხელოვნება

კვირას 29 აპრილს **ქართულ თეატრში** წარმოდგენილი იქნება „**ოტელლო**". ოტელლოს როლს შეუსრულებს **ვლ. ალექსი-მესხიშვილი. იაგოს კ. მესხი.** ბილეთები იყიდება.

ნაძალადევის თეატრი. კვირას 22 აპრილს ქ. ე. ჩიქოვანის მონაწილეობით წარმოადგინეს ირეთელის 5 მოქ. დრამა „**დამარცხებულნი**". როგორც ყოველთვის ქსახ. ქ. ჩიქოვანი საუცხოვო იყო ნამეტნავად მეოთხე მოქმედებაში (ქეთოს როლში). სცენის მოყვარეთა შორის არა უშავდათ ბ. ბ. ლორთქიფანიძეს, (ჟანდარმის ოფიცრის როლში) სვახიძეს, (დავით ბაღდანაძის როლში).

სუსტები იყვნენ ს. გოგაშვილისა (ელისაბედის როლში) კუნდუხაშვილი (მიშა) ვანოს როლში ს. გოგაშვილი ნიკო ბერდიაშვილის როლში და დანარჩენებზედ სჯობს გავჩუმდე. ხალხი წარმოდგენას საკმაო დაესწრო. აფიშაში გამოცხადებული იყო მონაწილეობა ბ. სვიმონიძისა მას კი ამ საღამოს არ უთამაშნია.

დამსწრე.

ბაქო. 22 აპრილის წარმოდგენამ ბევრად უფრო სუსტად ჩაიარა, ვიდრე ბ-ნ გვარაძის რეჟისორობით გამართულმა წინანდელმა წარმოდგენებმა. დასდგეს ოსტროვსკის ჩვენში კარგად ცნობილი კომედია „უდანაშაულოდ დასჯილნი". სცენის-მოყვარეებს ამ დღეს რაღაც აღარ ეტყობოდათ ჩვეულებრივი აღფრთოვანება და გატაცება: ცივად, უგულოდ, ზანტად თამაშობდნენ. შეიძლება მიზეზი ის იყო, რომ ზოგიერთ როლისთვის სცენის-მოყვარეებს ძალღონე არ შესწევდათ. ასეთები იყვნენ ბ-ნნი ჩაგუნავა (შმაგა) და ა. პავლიაშვილი (მილოვზოროვი). პირველი სრულებით ვერ მოერია როლს, მით უმეტესად თითონ როლიც საკმაოდ არ გაეზეპირებინა და ზოგგან სათქმელს აგვიანებდა. გრიმიც არ უვარგოდა: პარიკს ქვეშიდან უკან შავი თმა უჩანდა და სახეზედაც წამალი ულაზათოდ ჰქონდა წათხუპნილი. ეს-კი რეჟისორის ბრალია: სცენის-მოყვარემ რა იცის გრიმისა! ბ-ნ ა. პავლიაშვილისთვის შეუფერებელი იყო მილოვზოროვის როლი. მილოვზოროვისთვის დახელოვნებული მსახიობია საჭირო, ხოლო ა. პავლიაშვილი ჯერ კიდევ გამოუცდელი სცენის-მოყვარეა: ამ როლში თავისუფლად ვერა გრძნობდა თავს; არ ეხერხებოდა სცენაზე სიარული და დგომა, ზოგჯერ არ იცოდა სად წაეღო ხელები. მანერა ლაპარაკისა და კილო ხომ სულ არ შეეფერებოდა მილოვზოროვს.

კრუჩინინას როლს ასრულებდა მსახიობი ქალი ქ-ნი ქეთევან ანდრონიკაშვილისა. ქ-ნი ანდრონიკაშვილისა წინად მხურვალე მონაწილეობას იღებდა თურმე აქაურ წარმოდგენებში, მაგრამ ერთი წლიწადია ჩამოშორებულა. ბაქოს ქართულ თეატრისთვის ისეთი დახელოვნებული და ნიჭიერი მსახიობი, როგორიც ქ-ნი ანდრონიკაშვილისაა, დიდ ძალას წარმოადგენს და ამიტომ ძალიან სასიხარულოა, რომ იგი კვლავ დაუბრუნდა აქაურ სცენას.

ბ-ნ გვარაძის რეპერტუარში ნეზნამოვის როლი საუკეთესოა და, როგორც ყოველთვის, ამ საღამოთიც კარგად შეასრულა იგი.

დანარჩენებში ალსანიშნავნი არიან: ქ-ნნი ჩაგუნავა და ასათიანი, ბ-ნნი მატარაძე და ლაჯანელი.

საჭირო იყო რეჟისორს ყურადღება მიექცია სასტუმროს მსახურის როლის ამსრულებელისთვის და უგროშოდ არ გამოეშვა იგი.

ბაქოელები თავისას არ იშლიან და გვიან იკრიბებიან. ამ მიზეზით წარმოდგენა პირველ საათზე ადრე ვერა თავდება. როგორც გადმოგვცეს, დრამატიულ სექციას გადაუწყვეტია, ამიერიდან წარმოდგენა სწორედ 8 ნახ. საათზე დაიწყოს, დარბაზის კარები დაჰკეტოს და დაგვიანებულნი პირველ მოქმედების გათავებამდე არ შეუშვას. ნუ თუ ბაქოელნი ეხლა მაინც არ ეცდებიან დროზე შეკრებას?!

შემდეგისთვის (სამ მაისს) ძალიან საინტერესო წარმოდგენა მზადდება: სდგამენ ი. გედევანიშვილის პიესას „მსხვერპლს", რომელმაც ასე გაითქვა სახელი მთელ საქართველოში. ამ წარმოდგენისთვის ტფილისიდან განსაკუთრებულად მოწვეულია ჩვენი დამსახურებული მსახიობი ვასილ აბაშიძე. ამას გარდა წარმოდგენა დაიდგმება დიდ სცენაზე—ნიკიტინის თეატრში. ბ-ნ აბაშიძის გარდა ამ პიესაში მონაწილეობას იღებენ აგრედვე ქ-ნი ანდრონიკაშვილისა და ბ-ნი გვარაძე. ბევრმა ეხლავე დაიკავეთა ბილეთები: ეშინიანთ, ვაი თუ სულ გაიყიდოს და წარმოდგენის დღეს აღარ იყოსო.

გასტროლები ვლად. სარდ. ალექსი-მესხიშვილისა. ამ მოკლე ხანში დაიწყებს მოგზაურობას **ქართველ მსახიობთა დასი ვლად. ალექსი-მესხიშვილის** ხელმძღვანელობით, რომელიც შეასრულებს უმთავრეს როლებს ძველ და ახალ რეპერტუარიდან. დასი შემოივლის დასავლეთ საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებს. პირველ წარმოდგენას გამართავს გორში. რეპერტუარში, სხვა პიესათა შორის შეტანილია „კინი" და „ყაჩაღები". იკერება ახალი ტანისამოსები კლასიკურ პიესებისათვის.

წერილი რედ. მიმართ

კვირას 8 აპრილს ალაგირში (თერგის ოლქი) სცენის მოყვარეთა მიერ ქართულ სკოლის დარბაზში ამავე სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქმნა „ლალოტი" თავ. ა. სუმბათაშვილისა, და გამართული იყო ბუფეტი მაგარ სასმელებით.

მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი: ფეოდ. სოლ. მეტრეველი ჩიხრაძისა, ალათ. თავ. მეტრეველი-ლობჟანიძისა, სონ. სიმ. მიდელაშვილი, ნინ. სოლ. მეტრეველი, ლიუბ. ჯანელიძე, ბ-ნნი. გ. ს. უტურაშვილი, ი. ნ. ლობჟანიძე, ს. ს. მეტრეველი, ი. გ. გაბესიანი, ს. ი. ქეიშვილი, ი. პ. გუგეშაშვილი, ა. ქ. კალანდარიშვილი, ლ. ხ. ლობჟანიძე, პ. დ. მეტრეველი, ა. ი. მეტრეველი, გ. ი. ლობჟანიძე, მ. ა. სხირტლაძე, ვ. ნ, მეტრეველი, და სხ. დიდი მადლობის ღირსნი არიან ბ-ნნი სოლომონ ივანეს ძე ლობჟანიძე, სიმონ მიდელაშვილი, სოლომონ მეტრეველი, და დავით მეტრეველი, რომლებიც შედიან ჩვენი სკოლის გაჭირვების მდგომარეობაში და დაუზარებლად აგზავნიან ზოგი თავის ქალს ზოგი რძლებს და მონაწილეობას იღებენ წარმოდგენაში. დიდ მადლობას უცხადებთ აგრედვე შემდეგ პირებს რომლებმაც შემოსწირეს ღვინო და სხვა და სხვა სანოვაგე ბუფეტისთვის უფასოდ: ალექ. დავ. ლობჟანიძემ, ალ. ფ. ლობჟანიძემ, ილ. ნონ. ლობჟანიძემ, სოლ. ბუჭ. მეტრეველმა, ოქრ. ივან. ლობჟანიძემ, თედ. დავ. ლობჟანიძემ, თედ. ივ. ლობჟანიძემ, ძმ. პეტ. და ტრიფ. დოკვაძეებმა, თომ. ლობჟანიძემ. ისიდ. ოტ. ლობჟანიძემ, თედ. ოქ. ომიაძემ, ილ. პავ. გუგეშაშვილმა, გარს. თანდ. ხიდეშელმა ისიდ. იე. მეტრეველმა, გლ. დავ. ლობჟანიძემ, ილ. სოლ. სხირტლაძემ, ალ. ფ. სხირტლაძემ და იასონ კირ. ლობჟანიძემ.

ბილეთები გაიყიდა 55 მან. ბუფეტმა ივაჭრა 67 მ. 23 კაპ. ხარჯი იყო სულ... 35 მან. 18 კაპ. დარჩა სუფთა შემოსავალი. 87 მან. 5 კაპ.

წარმოდგენის გამგე

პეტრე მეტრეველი.

ბ-ნო. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთით ულრმესი მადლობა გადაუხადო იმ პირთ, რომელთაც ჩემ მიერ გამართულ სალიტერატურო დილაში მონაწილეობა მიიღეს: ბ-ნთ შ. საფაროვს, რ. სალაყაიას, ს. ერთაწმინდელს, მთისძირელს, ს. მეტეხელს, რამიშვილს ქ-ნ. ან. კავთელს. აგრედვე მომღერალთა გუნდს და ქ-ნ. ელ. კაშიევისას რომელიც ამ დილით დიდი დახმარება გამიწია.

პავ. ი. ფრანგიშვილი.

ჩვენ მივიღეთ ბატონ პარმენ როსტომის ძე მშვიდობაძისაგან მისგან შემოწირული და სხვა პირთაგან შეკრებილი 26 მანეთი და 50 კაპ. ქვიანის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ; გულ-წრფელ მადლობას ვუძღვნით შემომწირველთ. შემომწირველთა სია. პარმენ მშვიდობაძემ 10 მანეთი, სპირიდონ მკურნალმა 5 მანეთი, მოსე წულაძემ 4 მანეთი, დავით პარემუზოვმა 2 მანეთი, ლევან ასათიანმა, ანტონ ჯიბლაძემ, ბართლომე ქეიშვილმა ბესარიონ გაბუნიამ და მასიკო ხაფთასმა თითო მანეთი, და აბელ ტატულოვმა ათი შაური.

ქვიანის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგე მღ.

თეოფანე კალანდარიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

განცხადებანი

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67. სახლი სეანიშვილისა.

ქალაქიდან წასვლის გამო
შემთხვევით
იყიდება ორი სახლი
1. მე-3 პეტროვსკის პროეზდი, № 15 პირველ უბანში, მიწა 110 ოთხ. კ. საჟ. შენობები 7 ოთახი, სამზარეულოებით, სარდაფებით, სამრეცხველოთი, რუსულ ფეჩით; სახლს აქვს ბაღჩა წყაროთი, მთის ჰაერი და მშვენიერი გადასახედით.—2. პეტროვსკის ტუპიკში, პირვ. უბ. № . მიწა 129 ოთხ. კუთ. საჟ. ორ სართულიანი სახლი სულ 4 ოთახი, სამზარეულოებით, სარდაფებით და სამრეცხველოთ; ზემო სართ. აქვს გალერეია. ბანკის ვალი 4000.—დასამატებელი მორიგებით. —ცნობების მისაღებად—მეორე სახლ. ადრესით გიორგი მირზ. დილანოვს. (1.398.1)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:
ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დილის 11—12 ს.
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედთა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიებას ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.
წამლობა „606"-ით.
(100—1615—56)

ბორჯომის საზოგადო საკრებულო
ახლად შეკეთებულ და გაფართოვებულ
ბუფეტს 1 მაისი-დან იჯარით
გასცემს. საკრებულოში შაბათობით ორკესტრი უკრავს. **პირობების** გასაგებად საკრებულოს მიჰმართეთ. (6.1190.6)

ყოველ-დღე მოგვდის:
ახალ-ახალი ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი
(წ.—1131—46)

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ექიმი ა. ნ. დი[illegible] კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 საღამ. 6 [illegible] დილით 8 [illegible] იღებს. [illegible]

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606"—11—12 ს. **შეხაპუნება კონსულტატიურად.**
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებით, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საზებით, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საზებით და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.37)

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საზებით საქმისათვის. ძიებას და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**
(თ. 1037.49)

სატეხნიკო საქმეები:
გეგმები, ხარჯთ-აღრიცხვები, (პროექტები და სმეტები სადაც საჭიროა დამტკიცებით) ყოველ-გვარ შენობების აგება, გადაკეთება, სასმელ წყლების და სარწყავების გაყვანა, გამოანგარიშება სამუშაოებისა.
ადგილების გეგმის აღება, დამიჯნა, დაყოფა, დაზომვა. შედგენა საქმის ქაღალდებისა, მამულების დაზღვევა დ დაგირავება. კანტორა ღიაა 8 ს. 8ს.-მდე. **ვერის დაღმართი,** № 7 ტელეფ. № 691. (4.370.4) **წერილობით**—Технику Ніорадзе.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ"-ზე
წელიწადი მერვე.
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 **წიგნი** „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●● —●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ნ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1627—63 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა".